სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა
რა არის წმინდა ყურანი?

წმინდა ყურანი არის სამყაროების ღმერთისა და შემქმნელი ალლაჰის სიტყვა. ის იქნა გარდმოვლენილი ბოლო შუამავალ მუჰამმადზე (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს მას), რომ განუმარტოს ქმნილებებს მათი შექმნის მიზანი და დააყენოს ისინი სწორ გზაზე, რომლითაც ისინი იქნებიან ბედნიერები ამქვეყნადაც და იმ ქვეყნადაც. ის არის ბოლო წიგნი, რომელიც გარდმოავლინა ალლაჰმა, რომელიც ამტკიცებს წინათ გარდმოვლენილ წიგნებს და ბათილს ხდის მასში შემავალ კანონებს.

წმინდა ყურანი არის სასწაული განკითხვის დღემდე, რომელიც ამტკიცებს მუჰამმადის შუამავლობას. ალლაჰი იწვევს ადამიანებს დ ჯინებს, რომ შექმნან ყურანის ერთი სურის (თავის)მსგავსი მაინც, მაგრამ არავის შეუძლია მისი მსგავსის შექმნა. ეს არის მისი სასწაულებრიობის ერთ-ერთი ნიშანი.

მისი გარდმოვლენის დღიდან დღემდე 1400 წლის განმავლობაში, ყურანიდან ერთი ასო და ერთი სიტყვა არ შეცვლილა, რადგანაც დიდებულმა ალლაჰმა პირობა დადო, რომ მას დაიცავდა ცვლილებებისგან განკითხვის დღემდე.

წმინდა ყურანი არის ისლამის ძირითადი წყარო და კონსტიტუცია, რომლითაც ადამიანი სარგებლობს თავისი ცხოვრების მანძილზე ნებისმიერ დროსა და ადგილას. ის მოუწოდებს მონებს, რომ ეთაყვანონ ერთადერთ შემქმნელს, და განუმარტავს ხალხს, თუ რა სჭირდება მათ, რომ შეიცნონ ღმერთი და ეთაყვანონ მას. მასში გადმოცემულია ადამიანებისა და სამყაროს შექმნაზე, საიდუმლოებებზე წარსულსა და მომავალზე, ასევე შუამავლებზე, რომლებიც მან მოავლინა ამქვეყნად და როგორ ეხმარებოდა მათ ალლაჰი და როგორ ანადგურებდა მათ მტრებს სხვადახვა ეპოქაში. მასში არის თავმოყრილი თაყვანისცემისა და ქცევის ნორმები, მოწოდება საუკეთესო ზნეობისკენ და გაფრთხილება ცოდვებისა და ცუდი ქმედებისგან. ყურანი გვამცნობს, თუ ვის ელოდება ჯოჯოხეთი და ვინ იგემებს სამოთხის სიამეებს და რომ მორწმუნენი სამოთხის მკვიდრნი იქნებიან და ურწმუნოები სამუდამოდ დარჩებიან ცეცხლში.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს წიგნი გარდმოვლენილია არაბულ ენაზე, და ალლაჰმა ბრძანა რომ ის მიეტანათ ხალხამდე. ჩვენ მოხარული ვართ, რომ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ წარმოგიდგინოთ ყურანი ქართულ ენაზე და რეალური გავხადოთ მისი შინაარსის გაგება ჩვენი მკითხველისთვის. ჩვენი სამუშაო ჯგუფი არანაირ ძალისხმევას არ იშურებს, რომ მოვიტანოთ ყურანის მნიშვნელობა თქვენამდე მაქსიმალური სწორი გადმოცემით და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რაოდენ კარგიც არ უნდა იყოს თარგმანი, ეს ვერ გადმოსცემს წმინდა ყურანის ზუსტ მნიშვნელობას. ხოლო ვისაც სურვილი აქვს, რომ სრულად ჩაწვდეს ყურანის მნიშვნელობას ჩვენ ვურჩევთ მას, რომ შეისწავლოს არაბული ენა.

მშვიდობა იყოს ყველა შუამავალზე და დიდება ალლაჰს, სამყაროების ღმერთს.

წმინდა ყურანის ენციკლოპედია

თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ წმინდა ყურანის მნიშვნელობა კოდის QR Code სკანირების შედეგად თქვენი მობილურის კამერით.

ჩვენ მოხარული ვიქნებით ნებისმიერი შენიშვნისა და კომენტარის მიღების ჩვენს თარგმანთან დაკავშირებით, რომელიც განთავსებულია საიტზე (www.quranenc.com). ნებისმიერი შეკითხვის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ.ფოსტაზე info@quranenc.com

სახელითა ალლაჰისა მოწყალისა, შემწყალებლისა
რა არის წმინდა ყურანი?